

ირინა ერქომაიშვილი

Erasmus+ გაცვლითი პროგრამის მონაწილე, University Of TUSCIA

კავკასიის ბიზნესის სკოლა

„პირველ რიგში, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კავკასიის უნივერსიტეტს და პროგრამა Erasmus+ ამ შესაძლებლობისათვის. ყოველთვის მინდოდა გაცვლით პროგრამაში მიმეღო მონაწილეობა, რათა გავცნობოდი სხვა ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს, ღირებულებებსა და სტუდენტურ ცხოვრებას.

თავდაპირველად ძალიან ვღელავდი, თუ როგორი გარემო დამხვდებოდა, თუმცა ყოველივე ეს უსაფუძვლო აღმოჩნდა. ამჟამად ვიმყოფები იტალიის ქალაქ ვიტერბოში და ვცხოვრობ სტუდენტებისათვის განკუთვნილ საერთო საცხოვრებელში. ქალაქში დღემდეა შემორჩენილი მე-11 საუკუნის ნაგებობები. ტუშას უნივერსიტეტის შენობა აშენებულია 1244 წელს და იმდენად შთამბეჭდავია, რომ დროში მოგზაურობას ჰგავს.

ვსწავლობ ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტზე. საგნებიდან გამოვარჩევ Marketing and Big Data Analytics, რადგან სტუდენტები აქტიურად ვართ ჩართულები ლექციის მსვლელობაში. ასევე, ძალიან მომწონს, რომ ხშირად გვყავს მოწვეული ლექტორები, რომლებიც გვიზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

ტუშას უნივერსიტეტმა საერთაშორისო სტუდენტებისათვის გამართა ე. წ. Welcome week, რამაც სტუდენტებს ძალიან შეგვიწყო ხელი ადაპტაციასა და ახალი კონტაქტების დამყარებაში. სტუდენტური ასოციაცია, ASES Viterbo, ყოველ კვირას აწყობს უცხოელი სტუდენტებისათვის სხვადასხვა სახალისო და შემეცნებით აქტივობებს, მათ შორის ექსკურსიებს ვიტერბოს რეგიონის ულამაზეს ქალაქებში.

შევიძინე სხვადასხვა ეროვნების მეგობრები. იმისათვის, რომ უცხოელი მეგობრებისათვის კიდევ უფრო კარგად გამეცნო ქართული კულტურა და ტრადიციები, ჩემს მეგობრებთან ერთად გავაკეთე ქართული საღამო. მათ მიეცათ საშუალება დაეგემოვნებინათ ქართული კერძები და გაცნობოდნენ ჩვენს ნაციონალურ სიმღერასა და ცეკვას. რა თქმა უნდა, ყველა აღფრთოვანებული დარჩა.

თავისუფალ დროს ვცდილობ დავათვალიერო იტალიის სხვადასხვა ქალაქები, მუზეუმები და დავაგემოვნო ადგილობრივი კერძები. მეგობრებთან ერთად ხშირად ვუყურებ ნაპოლის თამაშებს და ვგულშემატკივრობ ხვიჩა კვარაცხელიას. მინდა აღვნიშნო, რომ იტალიაში თითქმის ყველამ იცის კვარას შესახებ და როდესაც იგებენ, რომ ქართველი ვარ, დიდ სიყვარულს და პოზიტივს გამოხატავენ საქართველოს და ქართველების მიმართ.

ვფიქრობ, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება ყველა სტუდენტმა უნდა სცადოს. გარდა იმისა, რომ ისინი შეიძენენ დაუვიწყარ მოგონებებს, ეს მათ დაეხმარებათ: უცხო ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების გაცნობაში, ახალი მეგობრების შეძენაში, პიროვნულ განვითარებასა და ზრდაში. ისინი ისწავლიან, თუ როგორ გაუმკლავდნენ სხვადასხვა გამოწვევებს, ადაპტირდნენ უცხო გარემოში და გახდნენ უფრო მეტად დამოუკიდებლები.“

